F567 ✓3288

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საშობლოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-10 წელი

№ 8 (145)

მაისი,

1966 წელი

საპირველმაისო დღეები თბილისში

...პირველმა მაისმა სადღესასწაულო ფერებით შეამკო საქართველოს დედაქალაქის პეიზაჟი. გაზაფხულის წვიმამ კიდევ უფრო დაამშვენა, გაახალგაზრდავა უძველესი თბილისი. ქუჩები და მოედნები მორთულია წითელი ალმებით, წითელი ტილოებით. ოქროსფრად ელავს ტრანსპარანტებზე სიტყვები: „დაე მუდამ ცოცხლობდეს და იფურჩქნებოდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ერთობა და ძმური მეგობრობა!“.

ქართველმა ხალხმა კარგად იცის ამ დიდი მეგობრობის ფასი.

უმაგალითოდ გაიფურჩქნა საბჭოთა საქართველო. ახლა რესპუბლიკაში ერთი კვირის მანძილზე მეტ პროდუქციას უშვებენ, ვიდრე რევოლუციამდე აწარმოებდნენ ერთი წლის განმავლობაში. 60-ზე მეტ საზღვარგარეთის ქვეყანაში იგზავნება საქართველოს საწარმოთა ნაკეთობანი.

რუსთაველის პროსპექტი. აქ არის საქართველოში პირველი მაისის დღესასწაულის გული.

რუსთაველის გასადევარს
ვარდ-ყვავილი შეესია.
სილამაზის ზეიმია,
შენ ეს ვარდი,
შენ — ეს ია.

წვიმიანი ამინდის მიუხედავად ყველა მხიარულ, სადღესასწაულო გუნებაზეა, ყველგან დიდი გამოცოცხლებაა. ქართველ ხალხს აქვს საამაყო, სასიხარულო.

სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის რესპუბლიკა დაჯილდოებულია მეორე ლენინის ორდენით. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მოწინავეთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. საუკეთესოთა შორის სამოცდაათ საუკეთესოს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება.

სწორედ საქართველოს სიყვარულმა ათქმევინა პოეტს:

საქართველოს სიყვარულში
აბა როგორ დავიღლებით.
ზაფხულშიაც ყვავილები,
ზამთარშიაც ყვავილები
ვარდ-ყვავილით იმოსება
ვაჟეა თუ ვეძისია —
ყვავილების ქვეყანაში
ყვავილების მეჯლისია.

პარტიგანულ კოცონთან



ეს ფოტოსურათი მიმდინარე წლის 9 მაისს გადაიღო გაზეთ „სამშობლოს ხმის“ ფოტოკორესპონდენტმა ლისის ტბის მიდამოებში. აქ ამ დღეს შეიკრიბნენ ქართველი პარტიზანები (იხ. მასალა ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე) და გამარჯვების დღის აღსანიშნავად დიდი კოცონი გააჩაღეს. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ამიერიდან ლისის ტბის კულტურისა და დასვენების პარკი პარტიზანთა სახელობისა იქნება.

პარტიზანული დღეების მოგონება

ზეიმით აღნიშნა ქართველმა ხალხმა გამარჯვების დიდი და ნათელი დღესასწაული. იგი ყველა სახლში მოვიდა, ყველა ადამიანის გულში პოვა გამოხმაურება, კაცობრიობას არასოდეს არ დაავიწყდება საბჭოთა ხალხის გმირობა, რომელმაც მძიმე ბრძოლაში დაიცვა თავისი სამშობლოს სახელი და დამოუკიდებლობა, კაცობრიობა იხსნა ფაშისტთა დამონების საფრთხისაგან.

ასზე მეტი პარტიზანი საქართველოდან, რომლებიც რუსების, ბელორუსების, ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ეროვნების წარმომადგენელთა მხარდამხარ იბრძოდნენ დიდი სამამულო ომის წლებში, შეიკრიბნენ 9 მაისს, რათა აღენიშნათ გამარჯვების სასიხარულო დღესასწაული.

შუადღის 12 საათია. პარტიზანები სხდებიან მანქანებში და მიდიან, რათა პატივი სცენ იმ გმირების ნათელ ხსოვნას, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს შესწირეს. ყოფილმა პარტიზანებმა გვირგვინებით შეამკეს ძმათა სასაფლაოები 26 კომისრის რაიონის სასაფლაოზე, კუკიის სასაფლაოზე.

გმირთა მოედანზე მომავალი ძეგლის საძირკველთან წამოიმართა იასამნის, ვარდების, მიხაკების მთელი გორაკი. დაფიქრებულნი შესცქერიან ამ ყვავილებს ადამიანები. მათ აგონდებათ განვლილი წლები და გულში ებაასებიან იმათ, ვინც ამ მხიარული მაისისათვის, კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის გასწირა თავი.

ამ დღეს ქართველი პარტიზანები შვილებთან, ცოლებთან და მეგობრებთან ერთად შეიკრიბნენ **ლისის ტბის მიდამოებში.** ტრადიციისამებრ ისინი აქ **პარტიზანულ კოცონთან** მოვიდნენ დიდ საბრძოლო ოჯახად, რათა იზეიმონ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების 21-ე წლისთავი.

ჩვენ ვნახეთ თუ როგორ იცინოდნენ და ტიროდნენ ერთმანეთს ჩახუტებული ადამიანები, რომლებმაც მძიმე საბრძოლო გზა განვლეს და ახლა, 21 წლის შემდეგ, კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. **მანანა მჭედლიშვილს** შემოეხვივნენ მისი თანაპოლკელები: **ალექსანდრე მორჩილაძე, ოთარ კობიაშვილი** და სხვ. ყველა ისინი საფრანგეთში იბრძოდნენ და ბევრი რამ აქვთ მოსაგონარი.

აქ ერთმანეთს შეხვდნენ უკრაინის პარტიზანთა ერთ-ერთი შენაერთის მეთაურის მოადგილე **ლეონიდე ჩხაიძე** და სამი დიდების ორდენის კავალერი, პარტიზანთა მზვერავი **სიმონ ბუნერიძე.**

აი პარტიზანთა კიდევ ერთი ჯგუფი — **არამაის ოსეპიანი** და მისი მეუღლე **ვერა ოსეპიან-ალექსეენკო,** რომლებიც მტრის ზურგში მოქმედებდნენ სხვა პარტიზანებთან ერთად, აფეთქებდნენ მტრის ეშელონებს. შეკრებილი დიდი გულისყურით უსმენდნენ რადისტ მედესანტეს **ტატიანა სერებრიაკოვას,** რომელიც კავშირის დასამყარებლად დიდი მიწიდან მტრის ზურგში გადაისროლეს ყირიმის ფრონტზე. სერებრიაკოვა სიმფეროპოლში დაუმეგობრდა ქართველი ხალხის სახელოვან შვილს **ზოია რუხაძეს** და ახლა დამსწრეთ უყვება რუხაძის დედასთან ამასწინანდელ შეხვედრაზე.

დღის 4 საათია. გაისმის ხაზზე სწორების ბრძანება. პარტიზანები მწვანე მოედანზე მწკრივდებიან. პარტიზანთა ტრადიციული შეკრების მომწყობი საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე **ა. ღოღობერიძე** სახელმოხვეჭილ მეომარს, საბჭოთა კავშირის გმირს **დ. ბაქრაძეს** უპატაკებს, რომ ყოფილი პარტიზანები მზად არიან საზეიმო ნაწილის დაწყებისათვის.

იწყება მიტინგი. მიტინგს ხსნის საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი **ვ. ჯანჯღავა.** იგი პარტიზანებს ულოცავს გამარჯვების დღეს, სამგზის გაისმის „ვაშა“.

სიტყვა ეძლევა დ. ბაქრაძეს. იგი შეკრებილთ უამბობს ქართველ პარტიზანთა სახელოვან გმირულ საქმეებზე, რომლებიც არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც იბრძოდნენ.

* * *

სურათზე: ქართველ პარტიზანთა ერთი ჯგუფი, მარცხნიდან — დ. იოსელიანი, ფ. აღლაძე, დ. ბაქრაძე, დ. მაღალაშვილი, ვ. რეხვიაშვილი, ნ. იაშვილი, ა. ღოღობერიძე, ა. ჩხაიძე, ქ. სუხიშვილი.

გამარჯვება

სადღაც უდაბურ, უცხო მხარეში
დამარხულია ქართველი კაცი.
გმირის საფლავზე ვარდი გაშლილა,
გმირის საფლავზე გამხმარა ქაცვი,
სატრფოს ნაწნავი შესთეთრებია,
დედას ლოდინში გაუწყდა ქანცი.

ასე ყოფილა დასაბამიდან:
შინ დარჩენილნი საჩუქარს ველით.
ხელცარიელი არ დაბრუნდება
ბრძოლის ველიდან ვაჟკაცი ქველი!
თვითონ ვერ მოდის და გამარჯვება
გამოგვიგზავნა მოძმეთა ხელით.

აკაკი გელოვანი.

20 წლის შემდეგ

ავტომატი სიმონის ძე ლორთქიფანიძე დიდი სამამულო ომის იმ მონაწილეთა რაცხვს მიეკუთვნება, ვისაც ომის დაწყების დღიდან დამთავრებამდე ხელი არ გაუშვია თავისი საბრძოლო იარაღისათვის. ლორთქიფანიძე მეტყვიამფრქვევეთა ასეულს მეთაურობდა და ფაშისტ დამპყრობლებთან მძაფრი ბრძოლით ომის ბევრი ეკლიანი ბილიკი გაიარა.

განსაკუთრებით გაითქვა სახელი ა. ლორთქიფანიძემ თავის მეტყვიამფრქვევეებთან ერთად სტალინგრადთან, სადაც ყოველი ტყავიანი მიწა მორწყული იყო სამშობლოს გულად დამცველთა სისხლით, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ ვოლგაზე. აქ ლორთქიფანიძე პირველად დაიჭრა.

ომის დამთავრებამ ავტომატი ლორთქიფანიძეს უნგრეთში მოუსწრო. აქ, ჭალაქ პეჩისათვის ბრძოლებში იგი მეშვიდედ დაიჭრა, ამჯერად მძიმედ და ზურგის შორეულ ჰოსპიტალში გაიგზავნა.

ამჟამად თადარიგის ლეიტენანტი, დიდი სამამულო ომის ინვალიდი ლორთქიფანიძე მუშაობს თბილისის № 1 ღვინის ქარხანაში. ქართველი ხალხის მამაცი შვილის საბრძოლო გმირობა წითელი დროშის ორდენით აღინიშნა. მაგრამ ისე მოხდა, რომ 1946 წელს არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მან დროზე ვერ მიიღო მთავრობის ჯილდო. ჯილდო მას ზუსტად ოცი წლის შემდეგ, გამარჯვების დღის წინ გადაეცა.

გამარჯვების ახლანდელი დღესასწაული განსაკუთრებით სასიხარულოა სამამულო ომის ყოფილი მონაწილის, ამჟამად კი ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის სოფლის კოოპერატივის მუშაკის ვალერიან შალვას ძე ჯაშისათვის. მან თავი ისახელა 1945 წლის მარტის ბრძოლებში, რისთვისაც დაჯილდოვეს წითელი დროშის ორდენით.

დიდი სამამულო ომის ბევრ სხვა მონაწილეს მთავრობის ჯილდოები აგრეთვე მხოლოდ ომის დამთავრებიდან 20 წლის შემდეგ გადაეცათ. რატომ მოხდა ეს? მიზეზი ბევრია. ზოგი მეომარი თავისი დაჯილდოების მომენტისათვის უკვე აღარ იყო იმ ნაწილში, სადაც მსახურობდა და მასთან კავშირი დაჰკარგა.



დღეს სჯობდა გუშინ

მეშახტეთა ქალაქში

ტყიბულს სამართლიანად უწოდებენ ქართველ მეშახტეთა დედაქალაქს. მწვანეშია ჩაფლული ფართო ქუჩები, რომლებსაც ქვის ლამაზი შენობები ამშვენებენ. ქალაქში არის კულტურის სასახლე, ათობით სკოლა, ბიბლიოთეკა, კლუბი...

შინაარსიანად ცხოვრობენ ტყიბულელები. ისინი მხურვალედ ეხმაურებიან ყველა მოვლენას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხდება. მხარს უჭერენ თითოეულ პატრიოტულ თაოსნობას. რესპუბლიკაში პირველად აქ გაჩნდა ბრიგადები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მეშახტეების მაგალითისამებრ მუშაობენ. ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ მეშახტეებმა გადაწყვიტეს ტყიბული გარდაექმნათ შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და სანიმუშო კულტურის ქალაქად. რა სიახლე გაჩნდა ამ ხნის მანძილზე, როგორ ცხოვრობენ ადამიანები, რომელთათვის მთავარია შრომა.

მეშახტეები ყოველდღიურად ამრავლებენ შრომითს წარმატებებს. შვიდწლედის დამდეგს მათ ვალდებულება იკისრეს ქვანახშირის ამოღება ასეულათასობით ტონით გაეღიდებინათ. ეს ვალდებულება ღირსეულად შეასრულეს.

მეშახტეთა წარმატებანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალ ხუთწლედში.

—ახალ ხუთწლედში ბევრი საქმე მოელით ახალი მახტების მშენებლებს, — უთხრა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტს საქართველოს შახტმშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა საქართველოს ქვანახშირის ობიექტების დარგში დ. საკანდელიძემ — ტყიბულთან ახლომდებარე მაორის საბადო ძალზე პერსპექტიული აღმოჩნდა. მისი მარაგი დაახლოებით 60 წელს გვეყოფა. ეს მეტია, ვიდრე ამჟამად გვაძლევს ტყიბულის ყველა მახტი. ამრიგად გადაწყდება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ადგილობრივი სათბობით უზრუნველყოფის საკითხი. ხომ ცნობილია, რესპუბლიკას მნიშვნელოვანი რაოდენობის კოქსადი ქვანახშირი შემოაქვს დონბასიდან. განვლილი გზა და მდიდარი შრომითი გამოცდილება გვაძლევს იმის საშუალებას დავასკვნათ, რომ ტყიბულელები შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს.

ტყიბულში ცხოვრობს სხვადასხვა ეროვნების ოცი ათასი კაცი. მათ შორის ვერ ნახავთ ისეთ ადამიანს, რომელიც ერთგულად არ ემსახურებოდეს მშობლიური ქალაქის აყვავების საქმეს.

აი ბიბლიოთეკარი ჭენია ცირეკიძე. მისი თაოსნობით ბევრი ქალიშვილი და ჭაბუკი გახდა წიგნის დამტარებელი. მათ მეშახტეებთან მიაქვთ სანტერესო წიგნები, ურჩევენ რა წაიკითხონ, ხოლო მასწავლებელმა ეთერ ბერიკაშვილმა მოაწყო ქალიშვილების კლუბი.

უკამიდველო მაღაზიები, ავტომატური ავტობუსები, უპონორარო ლექციები, თვითანგარიშის სალაროები მახტებში, ბიბლიოთეკები საზოგადოებრივ საწყისებზე... და განა შეიძლება ჩამოვთვალოთ ყველაფერი, რაც იშვა და ამჟამად იბადება ქალაქში?

ტყიბულში ბევრია ადგილი, სადაც შეიძლება წახვიდეთ სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ. მაგრამ ყველაზე საყვარელი ადგილი მაინც სახალხო თეატრია. დიდი ხანი არ არის, რაც ენთუზიასტთა ეს თეატრი კულტურის სასახლესთან არსებობს. მაგრამ უკვე საკმაოდ პოპულარობა მოიპოვა. თეატრის რეპერტუარშია კლასიკოსთა და თანამედროვე დრამატურგთა პიესები.

გ. ამაშუკელი.

არქეოლოგები ვარაუდობენ

სოხუმი. აფხაზეთის არქეოლოგებმა სოჭის მუზეუმის მეცნიერ მუშაკებთან ერთად მაცეტის რაიონში მოაწყვეს გათხრები, სადაც ამას წინათ მიწის სამუშაოების დროს იპოვეს რამდენიმე ძველებური ნივთი. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვერცხლის თასი, რომელიც მოჭედილია ლითონის თხელი ფურცლით. აღმოჩენილი საოჯახო დანიშნულების ნივთები მოხატულია ადამიანისა და ფრინველის ფიგურებით, რომლებიც ბერძნულ-რომაულ მითოლოგიას მოგვაგონებს. ნაპოვნია აგრეთვე ღია ფერის თიხის ჭურჭელი, რომელიც იყო ახალი წელთაღრიცხვის 96-98 წლების რომის იმპერატორის დროს მოჭრილი ვერცხლის მონეტები.

ეს ძეგლები არქეოლოგებს საფუძველს აძლევენ ივარაუდონ, რომ აქ არის მოსახლეობის უმაღლესი კლასის წარმომადგენელთა სამაროვანი და მიეკუთვნება ჩვენი ერის მეორე საუკუნეს. როგორც ცნობილია, იმ პერიოდს ეპოქაში, ახლანდელი სოჭის რაიონში გადიოდა სანიგთა ტომის ჩრდილოეთის საზღვარი, რომელიც შემდეგ აფხაზი ხალხის ერთ-ერთი ეთნიკური კომპონენტი გახდა.



საქართველოს ელჩაიებმა წელს უნდა მოკრიფონ 195.000 ტონა ჩაის ფოთოლი. ჩაის ფოთოლს კრეფენ მანჭანები — „საქართველო“.

სოხუმი და ყაზანლიყი — მეგობრები

აფხაზეთისა და ბულგარეთის მთელი რიგი საწარმოებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კოლექტივებს შორის მჭიდრო კონტაქტები დამყარდა. მაგალითად, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალისტების დახმარებით სოხუმის მეთამბაქოეებმა აითვისეს თამბაქოს შესაფუთავი ბულგარული მანჭანა. მისმა გამოყენებამ 25-ჯერ გაადიდა სოხუმელ შემფუთავთა შრომის ნაყოფიერება.

სოხუმის მიდამოებში მდებარე ეთერზეთოვანი კულტურების საცდელი სადგურის თანამშრომლებმა ბულგარეთში იმოგზაურეს და განთქმული ვარდების ხეობა ნახეს. ამ ცოტა ხნის წინათ კი აფხაზეთს ეწვია ყაზანლიყის საცდელი სადგურის დირექტორი ვასილ სტაიკოვი საბჭოთა მეგობრების გამოცდილების შესასწავლად.

კეთილი ხელი

ქალაქის პირველ საავადმყოფოში მძიმედ დაჭრილი მიიყვანეს.

ქირურგებმა ი. გობრონიძემ და ა. დადვანმა ავადმყოფს სისხლი გადაუსხეს და ოპერაციას შეუდგნენ. იური გობრონიძემ დინჯად გაკვეთა გულმკერდის ღრუ, მისმა მტკიცე, მაგრამ სათუთმა ხელმა იპოვა დანით გაკვეთილი ფილტვი. მაგრამ ყველაზე კრიტიკულ წუთში სისხლის დაკარგვისაგან დასუსტებულმა ორგანიზმმა შეწყვიტა ბრძოლა. ავადმყოფს ღრმა შოკი მოუვიდა. მედიცინის ყველა საშუალება გამოიყენეს, მაგრამ ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. იური გობრონიძემ დაიწყო გულის მასაჟი. და... გულმა ჯერ სუსტად დაიწყო ფეთქვა, ავადმყოფი ნელნელა უბრუნდებოდა სიცოცხლეს.

ქირურგია სიკვდილ-სიცოცხლის დაძაბული ორთაბრძოლაა. იური გობრონიძე ყოველთვის იმარჯვებს ამ ორთაბრძოლაში. გამოცდილმა ქირურგმა კარგად იცის, რომ წარმატება დამოკიდებულია არა მარტო ოპერაციაზე, არამედ ოპერაციის შემდეგ მკურნალობაზე, ავადმყოფის მორალურ მდგომარეობაზე. მას ყოველთვის ახსენდება საკუთარი გამოცდილება.

ომის წლებში იური გობრონიძე მძიმედ დაიჭრა ორივე ფეხში და გაგზავნეს ჩრდილოეთის შორეულ ქალაქში. ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რა ბედი ეწეოდა მას, ექიმებს რომ არ მოეხდინათ მასზე ზეგავლენა. ექიმები დაეხმარნენ არა მარტო იმაში, რომ ფეხზე დამდგარიყო, არამედ აიძულეს ერწმუნა საკუთარი ძალა. ერთხელ ჰოსპიტლის უფროსმა იგი ოპერაციაზე მიიწვია. ხოლო ერთი თვის შემდეგ იგი თვითონ აკეთებდა ოპერაციას.

ჰოსპიტალში მკურნალობის ექვსი თვის მანძილზე იური გობრონიძე ისე შეეწყო კოლექტივს, რომ მკურნალობის ვადის გასვლის შემდეგ შესთავაზეს აქვე დარჩენილიყო წამყვან ქირურგად. იგი სიხარულით დათანხმდა.

ომის შემდეგ ი. გობრონიძე დემობილიზებული იყო. იგი თბილისში ჩამოვიდა და მუშაობა დაიწყო ქალაქის პირველი საავადმყოფოს მესამე ქირურგიულ განყოფილებაში, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ დ. ი. ბერეჟიანის ხელმძღვანელობით.

განყოფილებაში, სადაც ი. გობრონიძე უკვე 20 წელია დაუცხრომლად შრომობს, იგი უყვართ ოსტატობისათვის, სიმკაცრისათვის, წესრიგისათვის. მესამე ქირურგიული განყოფილება ქალაქის პირველი საავადმყოფოს ერთ-ერთი სანიმუშო განყოფილებაა. რასაკვირველია, ამაში ღვაწლი მიუძღვის განყოფილების გამგეს იური თეოფილეს ძე გობრონიძეს.

ამასთან ერთად იგი სპეციალდება მედიცინის ახალ დარგში—რეანიმაციაში. ეს არის კლინიკური სიკვდილის სტადიაში მყოფი ორგანიზმის გაცოცხლება.

ნასხლავი... სასუქია

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში წარმატებით იყენებენ სიახლეს, რომელიც მეჩაიეებს სრულიად საკაშირო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერებმა ურჩიეს. ჩაის ბუჩქების გასხვლა-ფორმირების შემდეგ მწვანე ნასხლავი კი არ გააქვთ პლანტაციიდან, როგორც ეს წინათ ხდებოდა, არამედ მწკრივთაშორისებში ტოვებენ. ნასხლავი დიდმნიშვნელოვანი ორგანული სასუქია. ეს სასუქი 20–25 დღით აჩქარებს ბუჩქის ვეგეტაციას, რაც ხარისხოვანი ფოთლის ორგანიზებულად კრეფის შესაძლებლობას იძლევა.

საბჭოთა მეურნეობაში ხორციელდება კიდევ ერთი სიახლე — ბუჩქების ნაწილს გაზაფხულზე არ სხლავენ. პირველმა ცდებმა დაადასტურა ახალი მეთოდის მიზანშეწონილობა.

ვეფხისტყაოსანი

მოკლე შინაარსი

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ვრცელი პოემაა. ბავშვები მის წაკითხვასა და სრულყოფილად გაგებას ცხადია ვერ შეძლებენ, ამიტომ უმჯობესია თქვენს პატარებს თავდაპირველად უამბოთ პოემის მოკლე შინაარსი, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ. ილუსტრაციების ავტორია სერგი ქობულაძე.

ყოო არაბეთში მეფე როსტევანი, რომელსაც ჰყავდა ერთადერთი ასული თინათინი. როსტევანთან იზრდებოდა რაინდი ავთანდილი — მხედართმთავარი (სპასპეტი). ავთანდილს და თინათინს ფარულად ერთმანეთი უყვარდათ. როსტევანი მოხუცი იყო. მან გადაწყვიტა, თინათინი თავისივე სიცოცხლეში გაემეფებინა. ასეც მოიქცა. დალოცა თავისი ერთადერთი მზეთუნახავი ასული და მეფედ დასვა. მაგრამ ნადიმზე მეფემ მოიწყინა. გამოირკვა, მეფის მოწყენის მიზეზი ის იყო, რომ არ ჰყავდა ვაჟი, რომელიც მისგან მამაცობას ისწავლიდა. მხოლოდ ცოტათი მგავს ჩემი გაზრდილი ავთახდილიო. ავთანდილმა შეჰკადრა მეფეს, გაჯიბრებოდა მშვილდოსნობაში, სანადიროდ წავიდნენ. ავთანდილმა ოცით მეტი ნადირი დახოცა, რაც როსტევანს ძალიან გაუხარდა. დასასვენებლად ხის ძირს დასხდნენ და უცებ დაინახეს წყლის პირას მჯდომი უცხო ჰაბუკი (მოყმე), რომელსაც ვეფხვის ტყავის კაბა ეცვა, შავი ცხენი ჰყავდა, მსხვილი მათრახი ეჭირა და მწარედ ტიროდა. როსტევანმა მონები გაგზავნა, მაგრამ უცხო მოყმემ მათ ხმა არ გასცა, ხოლო როცა შეპყრობა სცადეს, ჰაბუკმა ისინი დახოცა. თვით როსტევანი და ავთანდილი დაედევნენ, მაგრამ მან მათრახი გადაჰკრა ცხენს და გაუჩინარდა. უცხო მოყმის გაუჩინარებამ დაამწუხრა როსტევანი. თინათინმა ურჩიაᲨამამას, გაეგზავნა ხალხი ქვეყნის ოთხივე მხარეს და დაეძებნათ უცხო მოყმე. როსტევანის მონებმა ქვეყანა მოიარეს, მაგრამ უცხო მოყმის კვალს ვერ მიაგნეს. მაშინ თინათინმა ავთანდილი დაიბარა, ვადად სამი წელი მისცა და უცხო ჰაბუკის მოძებნა დაავალა. თანაც შეჰფიცა, რომ მას დაელოდებოდა და სხვა ქმარს არ შეირთავდა. ავთანდილმა ერთგულ მონას შერმადინს უამბო ყველაფერი. თავისი ქალაქი ჩააბარა და თვითონ უცხო ჰაბუკის საძებრად წავიდა. ავთანდილმა მთელი დედამიწა მოიარა, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნო. სამი წლის გასვლას სამი თვე უკლდა, როცა ხატაელებს შეხვდა. ორ ძმას მესამე დაჭრილი ძმა მოჰყავდა. მათ უამბეს ავთანდილს: მინდვრად ვნახეთ შავ ცხენზე მჯდომი ვეფხვის ტყავით შემოსილი უცხო ჰაბუკი. მისი გაჩერება გვინდოდა, ჩვენმა უმცროსმა ძმამ ხელი მოჰკიდა, მაგრამ ვეფხისტყაოსანმა ჰაბუკმა მათრახი გადაჰკრა და სისხლი ადინა, ის ჰაბუკი, აი, ეგერ მიდისო — ძმებმა ავთანდილს უცხო მოყმე დაახასვეს. ავთანდილი მაშინვე უკან დაედევნა. როცა ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთს გაეცნენ და დამშობილდნენ, ავთანდილმა უამბო ტარიელს მოსვლის მიზეზი, ხოლო ტარიელმა დაწვრილებით მოუთხრო თავისი თავგადასავალი:

ინდოეთის შვიდი სამეფოდან ექვსი ფარსადან მეფეს ეკუთვნოდა, ერთი კი ტარიელის მამას — სარიდანს. სარიდანმა მოხუცებისას თავისი წილიც ფარსადანს გადასცა და მისგან მთავარსარდლობა მიიღო. ფარსადანს შვილი არ ჰყავდა და ტარიელს ზრდიდა შვილად. ტარიელი ხუთი წლის რომ გახდა, დედოფალს მზესავით მშვენიერი ქალი — ნესტან-დარეჯანი შეეძინა. თხუთმეტი წლის ტარიელს მამა მოუკვდა. ერთი წლის გლოვის შემდეგ, ფარსადანმა ტარიელს მამის თანამდებობა უბოძა. ერთხელ ნადირობიდან დაბრუნებულმა ტარიელმა შემთხვევით დაინახა ნესტან-დარეჯანი და შეუყვარდა. ქალმა ეს რომ გაიგო, ტარიელს ასმათის ხელით წერილი გაუგზავნა, რომელშიც ერთგულებას ეფიცებოდა და საგმირო საქმეებისაკენ მოუწოდებდა. ნესტანმა დაავალა ტარიელს ხატაეთზე გალაშქრება. ხატაეთი წინათ ინდოეთს ემორჩილებოდა, ახლა კი ამ დამორჩილებაზე უარს ამბობდა. ტარიელმა გაილაშქრა ხატაეთზე და ამ ომში დიდი გმირობა გამოიჩინა. სასტიკად დაამარცხა მტერი, ტყვედ წამოიყვანა ხატაეთის მეფე რამაზი, ურიცხვი სიმდიდრე წამოიღო და სახელმწიფოს ჩააბარა. თვითონ კი ნესტანისათვის საჩუქრად მხოლოდ მკლე კაბა (ყაბაჩა) და ერთი თავსაბურავი (რიდე) აიღო. ომიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ტარიელს ინდოეთის მეფემ ზეიმი გაუმართა. ნადიმზე ტარიელი და ნესტანი ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ და ერთმანეთის ცქერით ტკბებოდნენ.

მაგრამ მალე განსაცდელი შეხვდათ. ფარსადანმა თათბირი მოიწვია და დიდებულებს მოახსენა, რომ ნესტანის საქმროდ სპარსეთის მეფის (ხვარაზმშაჰის) ძე უნდა მოვიყვანოთო. თათბირს ტარიელიც ესწრებოდა, მან შეატყო, რომ მეფეს და დედოფალს წინასწარ გადაეწყვიტათ ნესტანის ბედი, ამიტომ თავი შეიკავა და მეფის თვალის ასახვევად განზრახვა მოიწონა. ეს ამბავი გაიგო ნესტანმა, დაიბარა ტარიელი და ფიცის გატეხა უსაყვედურა. განრისხებულმა ნესტანმა „პირ-გამეხებული“ ვეფხვი მოაგონა ტარიელს. ტარიელმა აუხსნა სატრფოს, რომ ის არ აპირებდა არც ნესტანის და არც ინდოეთის დათმობას, ოღონდ თათბირზე შეკამათება შეუძლებელი იყო. ნესტანმა და ტარიელმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს, ჩუმად მოეკლათ ხვარაზმშაჰის ძე. თუ ხვარაზმშაჰის ძე ნესტან-დარეჯანს შეირთავდა, ინდოეთში სპარსელები გაბატონდებოდნენ, რაც პატრიოტი მამულიშვილებისათვის სათაკილო იყო. ტარიელმა მოკლა სასიძო და თავის ქალაქში გამაგრდა. ფარსადანმა შეუთვალა ტარიელს: თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არ მითხარიო. ტარიელმა ნესტანის რჩევის თანახმად, უპასუხა: თქვენი ქალი არ მინდა, ინდოეთს კი არავის დავუთმობო. მალე ტარიელმა გაიგო, რომ ფარსადანი სასტიკად დაემუქრა ნესტანის გამზრდელ მამიდას — დავარს, დავარმა შური იძია ნესტანზე, ჯერ სცემა, შემდეგ კი ზანგებს მისცა, რომლებმაც ის კიდობანში ჩასვეს და ზღვაში გადააგდეს. თვითონ დავარმა თავი მოიკლა.

ტარიელმა ზღვას მიაშურა. მან დიდხანს ამოდ ეძება დაკარგული სატრფო. მხლებლები დაეხოცა, დარჩა ორი მონა და ასმათი.

ერთხელ იგი შეხვდა კარგ რაინდს ნურადინ-ფრიდონს, რომელსაც დაეხმარა მტერთან ბრძოლაში. ფრიდონმა ტარიელს უამბო, რომ მან ზღვაში თვალი მოჰკრა კიდობანს, რომელშიც ორი ზანგი და ერთი მზეთუნახავი ქალი იყო. ამის გაგონებაზე ტარიელს გული შეუწუხდა. როცა გონს მოვიდა, ფრიდონს უამბო თავისი თავგადასავალი. ფრიდონისაგან წამოსულმა ტარიელმა მთელი დედამიწა შემოიარა, მაგრამ ნესტანის კვალს ვერ მიაგნო. შემდეგ დევებს შეებრძოლა, დახოცა და მათი გამოქვაბული მას დარჩა. ამ ბრძოლაში ორი მონაც დაკარგა და მარტო ასმათიღა შერჩა. რადგან ვეფხვი თავის სატრფოს აგონებდა, ტარიელი ვეფხვის ტყავით შეიმოსა და სატრფოს დაკარგვას მოსთქვამდა.

ავთანდილმა ეს რომ მოისმინა, ტარიელს ძმობა შეჰფიცა და სთხოვა, — ორი თვით წავალ არაბეთში, შენ აქ დამელოდე, მოვბრუნდები და დაგეხმარებიო.

იტალიელები ქითხულობენ

თეგერვლის ბოლო რიცხვებში მოსკოვში გამართულ მთარგმნელთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმართა შორის იყო იტალიელი პროფესორი ლეონე პაჩინი მეუღლითურთ. პროფესორი პაჩინი ნეაპოლის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მუშაობს და შესანიშნავად ლაპარაკობს რუსულად. საუბარში საქართველოს დელეგაციის წევრებთან ის ლაპარაკობდა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე, რომელიც მან მიიღო საჩუქრად უშუალოდ თვით მთარგმნელ — შალვა ბერიძისაგან.



ჩვენ, ქართული დელეგაციის წევრები დაგვაინტერესა ამ ფაქტმა, პაჩინიმ ბევრი ვერაფერი გვიამბო მთარგმნელის ვინაობის შესახებ. მახსოვს ამ რამდენიმე წლის წინათ ის ჯერ კიდევ მუშაობდა ნეაპოლის უნივერსიტეტში პროფესორად, მერე კი თვალს მიეფარაო. ჩვენ ვთხოვეთ პაჩინის გამოეგზავნა საქართველოში ეს უნიკალური გამოცემა, აგრეთვე ცნობები მისი მთარგმნელის შესახებ.

„ვეფხისტყაოსნის“ იტალიური თარგმანი შესრულებულია პროზად დ. კარიჭაშვილის გამოცემის მიხედვით (თბილისი 1903 წ.). მთარგმნელის მოკლე წინასიტყვაობაში მოცემულია ცნობები ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს შესახებ, დახასიათებულია ქართველი ხალხი, მოთხრობილია მისი ისტორიული წარსულის, რელიგიისა და კულტურის ამბავი, წინასიტყვაობის უმეტესი ნაწილი დათმობილი აქვს თვით რუსთაველის პოეზიის ანალიზს. გამოცემის მიხედვით მთარგმნელი მაღალი კულტურის მქონე ადამიანი ჩანს.

წიგნი გამოცემულია ქ. მილანში 1945 წლის ივლისში გამომცემლობა ბიანკი —ჯოვინის მიერ, ილუსტრირებულია სპარსული მინიატიურების სტილიზებული მანერით იტალიელი მხატვრის ფულვიო ბიანკონის მიერ. წიგნის ტიტულის მეორე გვერდზე ბიბლიოგრაფიული ცნობებია მოთავსებული, სადაც აღნიშნულია პოემის სახელწოდება „ვეფხისტყაოსანი“, მისი პირველი ქართული გამოცემის თარიღი (თბილისი, 1712 წ.), აგრეთვე იტალიური თარგმანის შემსრულებლისა და მხატვრის სახელები, ჩამოთვლილია ევროპულ ენებზე შესრულებული თარგმანები — ოთხი ფრანგული გამოცემა, ინგლისური, გერმანული და უნგრული გამოცემები, ხუთი რუსული გამოცემა, სომხური, პოლონური და ჩეხური თარგმანები.

გივი გაჩეჩილაძე.


რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი

არაბეთში დაბრუნებულმა ავთანდილმა უამბო თინათინს ყოველივე და მოახსენა, რომ უკანვე უნდა წასულიყო ძმადნაფიცის დასახმარებლად. თინათინმა მოუწონა ჰაბუკს გადაწყვეტილება, მაგრამ როსტევანი წინააღმდეგი იყო ავთანდილის მეორედ წასვლისა. ამიტომ იგი იძულებული გახდა—გაპარულიყო. ტარიელი ავთანდილს გამოქვაბულში არ დახვდა. ავთანდილი ძალიან შეწუხდა და საძებრად წავიდა. ავთანდილმა ტარიელი შამბნარში იპოვა, იგი უგრძნობლად ეგდო დახოცილ ლომსა და ვეფხვს შორის.


უემდეგ ავთანდილი წავიდა ფრიდონის სამეფოში, ფრიდონს უამბო ტარიელის ამბავი და გაუდგა გზას ნესტანის საძებრად. დიდხანს იარა და ზღვის პირას შეხვდა ზღვათა სამეფოში მიმავალ ვაჭართა ქარავანს, რომელიც ყაჩაღების (მეკობრეების) შიშით ზღვაში ვერ შედიოდა. ავთანდილი დაეხმარა ვაჭრებს, მუსრი გაავლო მეკობრეებს, სამაგიეროდ, სთხოვა მექარავნეებს: ზღვათა ქალაქში რომ შევალთ, ნუ გაამჟღავნებთ ჩემს რაინდობას, მეც ვაჭრულად გამოვეწყობი, ვითომ თქვენი უფროსი ვარო. კარგა ხნის შემდეგ მივიდნენ ზღვათა სამეფოს სატახტო ქალაქ გულანშაროში. აქ ავთანდილი დაუახლოვდა ადგილობრივ ვაჭართა უხუცესის ცოლს — ფატმან-ხათუნს და მისგან ნესტანის ამბავი გაიგო. მან უამბო: ერთხელ დავინახე, რომ ორმა ზანგმა ზღვიდან კიდობანი გამოიტანა, საიდანაც მზეთუნახავი ქალი გადმოსვეს. გავგზავნე მონები, რომელთაც ზანგები დახოცეს და მშვენიერი ქალი მომიყვანეს. ეს ამბავი ჩემს მეუღლეს უსენს ვუამბე და დავაფიცე არავისთვის გაემხილა, მაგრამ მან ფიცი გატეხა და მზეთუნახავი ქალი ძეფეს სარძლოდ აჩუქა. ქალი წაიყვანეს და ცალკე ოთახში მოათავსეს მეფის ძის ლაშქრობიდან დაბრუნებამდე. მზეთუნახავმა ქალმა ჩემი ნაჩუქარი ძვირფასი სარტყლით მცველები მოისყიდა, ღამით ჩემთან მოვიდა, ცხენი მთხოვა, შეჯდა ხედ და გაიპარა. შემდეგ გავიგე, რომ იგი ქაჯებმა შეიპყრეს და ქაჯთა მეფის შვილის— როსანის საცოლედ დანიშნეს. ამჟამად ქაჯეთის ციხეშია გამომწყვდეული და უამრავი მცველი დარაჯობს.

ავთანდილს ძალიან გაუხარდა ამ ამბის მოსმენა. მან ფატმანს უამბო თავისი ვინაობა და დახმარება სთხოვა. ფატმანმა ქაჯეთს გრძნეული მონა გაგზავნა და წერილით ამცნო ნესტან-დარეჯანს, რომ მალე მის დასახსნელად მივიდოდა მისი მიჯნური ტარიელი — თავისი ძმადნაფიცი ავთანდილით. საპასუხოდ ნესტანმა მადლიერებით სავსე წერილი მისწერა ფატმანს, მან წერილი გაუგზავნა ტარიელსაც.

გახარებული ავთანდილი ტარიელისკენ გაეშურა. ტარიელი შამბნარში ნახა, მას ლომი მოეკლა და ხმალს წმენდდა. ავთანდილმა გადასცა ნესტანის წერილი და რიდის ნაჭერი. ტარიელს რიდის დანახვაზე გული შეუწუხდა, ავთანდილმა მოასულიერა და გამოქვაბულისაკენ წავიდნენ. გამოიტანეს გამოქვაბულიდან დევების იარაღი და ფრიდონთან გამოიარეს. სამასი რჩეული კაცით, სამი ძმადნაფიცი მიადგა ქაჯეთის ციხეს. ითათბირეს, სამივემ თავისი აზრი გამოთქვა. ტარიელის რჩევა მიიღეს და დილადრიან ძელეწეს ქალაქის კარები. საშინელი ბრძოლა გაიმართა, გაქლიტეს მცველები, ტარიელი პირველი შეიჭრა ციხეში გვირაბის კარებიდან. ძმადნაფიცებმა გაათავისუფლეს ნესტანი. ბოროტს სძლია კეთილმა ძალამ. გმირებმა გასწიეს ზღვათა სამეფოსაკენ. ზღვათა მეფემ ტარიელს და ნესტანს ქორწილი გადაუხადა. ტარიელმა ზღვათა მეფეს აჩუქა ქაჯეთის სამეფო, ფატმანს კი უძღვნა ქაჯეთიდან წამოღებული მთელი სიმდიდრე. ძმადნაფიცები წავიდნენ ფრიდონის ქვეყანაში, სადაც კიდევ გადაიხადეს ქორწილი. შემდეგ ტარიელი და ფრიდონი ავთანდილს წაჰყვნენ არაბეთში. როსტევან მეფე დიდი ზეიმით მოეგება რაინდებს. ტარიელი დაწინაურდა მეფის შესახვედრად, ბოდიში მოუხადა როსტევანს მონების დახოცვისათვის, უამბო ავთანდილისა და თინათინის მიჯნურობის შესახებ და სთხოვა მათი ქორწილის თანხმობა. როსტევანმა განაცხადა, რომ ის ავთანდილზე უკეთეს სიძეს ვერ იპოვის და არაბეთში გადაიხადეს ტარიელ-ნესტანისა და ავთანდილ-თინათინის ქორწილი. რამდენიმე ხნის შემდეგ ჰაბუკები დიდი ლაშქრით გაემართნენ ინდოეთისაკენ. გზაში შეიტყვეს, რომ ფარსადან მეფე გარდაცვლილა და ინდოეთს შემოსევიან ხატაელები. ძმადნაფიცები სწრაფად გაემართნენ ინდოეთისაკენ და სასტიკად დაამარცხეს მტერი. გახარებულ დედოფალს გლოვა სიხარულად შეეცვალა. ტახტზე დასვეს ტარიელი და ნესტან-დარეჯანი. დიდი ქორწილი გადაიხადეს და უზომო საბოძვარი გასცეს. ტარიელმა ასმათს ინდოეთის ერთი მეშვიდედი უბოძა და უთხრა: ვინც გინდა ქმრად შეირთე და მემსახურეო. დიდი ლხინისა და მხიარულების შემდეგ, თუმცა გაყრა ეძნელებოდათ, ავთანდილი და ფრიდონი გამოეთხოვნენ ტარიელს და ნესტანს, თავთავიანთ სამეფოში წავიდნენ. სამივე ხელმწიფეს: ტარიელს, ავთანდილს და ფრიდონს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ისინი ყველას თანაბრად სწყალობდნენ, ობოლ-ქვრივნი გაამდიდრეს, მათხოვრობა მოსპეს, ცუდი საქმის ჩამდენნი დააშინეს და ისე ცხოვრობდნენ, რომ მათ სახელმწიფოებში თხა და მგელი ერთად ძოვდა.







უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩვენგან ხელმწიფედ ხმობილი,
აქათგან ესე სამეფო შენი არს მართ მონდობილი,
ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წუნარი და ცნობილი!“.

ნახეს უცხო მოუმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,

ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა;
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდუღრად ანატირსა.

მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს,
ვარდთა ხლეჩდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსჭვირდეს,
ყელი ყელსა გარდააჭდეს, ერთმანერთსა აუტირდეს,
ქარვად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს.



მხატვარი განათლებულია და ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძალუძს. მაგრამ მეც მესმის, რომ შემოქმედისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს და რომ ვერა ფაღავას შემოქმედებას უდავოდ სხვა გზა და კალაპოტი მიეცემოდა, რომ ცხოვრების ტალღებს ბავშვობიდანვე უცხო მხარეს არ გაერიყა, რომ მისი გულისცემა სამშობლოს სუნთქვას და მაჯისცემას უერთდებოდეს.

ფულიც ხომ „მეცნატის“ ხელშია. იგი თავისი ინტერესების მიხედვით იხდის „გასამრჯელოს“ და მხატვარმა, რომელიც ვალდებულია „მეცნატის“ გემოვნება და მსოფლმხედველობა დააკმაყოფილოს, პარიზში მთელი დაძაბვით უნდა იმუშაოს, რომ საცხოვრებელი მინიმუმი მიიღოს.

არ იფიქროთ მოსაწონი ცოტა რამ შეგხვდეთ მხატვარი ქალის ნამუშევრებში. ჩინური ნახატების მსგავსი ფაქიზი გრაფიკისა და ფერწერულ ნატურმორტებს გარდა, რომლებიც ავტორის დიდ გემოვნებას, მხატვრულ ალღოს, ოსტატობას და მხატვრის პოეტურ ბუნებასაც მოწმობენ („ნატურმორტი თევზებით“, „შავი ყვავილები“ და სხვ.), მისი მონუმენტური თუ დაზგური ხასიათის კომპოზიციები (დეკორაციულად — პირობითი და მაინც მოცულობით აღსავსე), ყურადღებას იპყრობს მასობრივ სცენათა ორგანიზაციით, შინაგანი რიტმითა და დინამიურობით („მეომართა შერკინება“, „ზეციური იერუსალიმი“, „ბურგუნდია“ და სხვ.).

ფაღავას ზოგ ნამუშევარში კონტრასტულობის პრინციპით სიბრტყეთა „გამოკვეთა“ თუ „გამოჭრა“ გვაფიქრებინებს, რომ მხატვარს ანრი მატისის გავლენაც უნდა განეცადა. იმ ანრი მატისისა, რომლის გუაშით დაფერილი დაჭრილი ქაღალდებისაგან შედგენილი პანოები, უფრო აპლიკაციებია მოძრაობით სავსე და ფერადოვანი. თუმცა ვერა ფაღავა, მატისის საპირისპიროდ, „პირდაპირ ფერში“ არ ხატავს. თავშეკავებულ ფერთა ოსტატური განაწილებით, ფორმებსაც გამოჰკვეთს და შინაარსობრივადაც ამეტყველებს კომპოზიციას, უსაგნობას გაურბის.

ვერა ფაღავას შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა განწყობას, რაც მას აიძულებს განყენებულად წარმოიდგინოს ბუნების სხვადასხვა მოვლენა, მაგალითად, დღისა და ღამის გაყრა“, „ღამე“ (სხვადასხვა ვარიანტად) და სხვ., რომელთაც მხატვარი საფუძვლად უდებს უშუალოდ მის მიერ განცდილ სუბიექტურ ემოციებს.

ვერა ფაღავას „ღამე“ მღელვარე და „უმოწყალოა“ და თუმც მის სურათებში აღბეჭდილ „სიბნელეს“ სიშავე არ ერჭმის, მაყურებელი, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობითაც მთელი არსებით განიცდის ჩამომდგარ „ღამეს“. აქ რაიმე სიმბოლიკა ხომ არ არის?

როგორც მხატვარი ამბობს, მას მიზნად ჰქონდა დასახული „ფერებისა და ფორმების საშუალებით გადმოეცა ის, რასაც ადამიანს „საზარელი ღამე“ განაცდევინებს. ეგებ მან მიაღწია კიდეც მიზანს, მაგრამ ვწუხვარ, რომ მხატვარს „კოშმარები“ არ ასცდენია და მის სულშიაც დასადგურებულა „ღამის“ ერთ-ერთ ვარიანტზე ასახული მძიმე შავი ლოდი.

ალბათ ამიტომაც უქცევს გვერდს ცხოვრებას, ეძლევა ოცნებას („აბსტრაქტულ ხელოვნებაში ის არის კარგი, რომ შეგიძლიათ თქვენს ოცნებას გაჰყვეთ“— გვეუბნება ვერა) და თანამედროვე ფრანგ მხატვართა უმრავლესობის მსგავსად სიცარიელის პირისპირ მდგომი ნაკლებად ახერხებს ადამიანის ყოფისა თუ განცდებისა ათვისებას.

„ფრანგულმა მხატვრობამ ეროვნული ფარგლები გადალახა“, — ამბობს მხატვარი თანამედროვე ხელოვნების დასაცავად და არ იცის, რომ ამით განაჩენი გამოაქვს აბსტრაქციონისტებისა თუ მათი მიმდინარეობისათვის.

შემოქმედს ავიწყდება, რომ „აბსტრაქტული ხელოვნების კოსმოპოლიტური ხასიათი ღუპავს მხატვრის ნიჭს, ფეხიდან აცლის მას კულტურისა და ხელოვნების მშობლიურ, ნაცნობ ნიადაგს, აშორებს საკუთარ ხალხს, მის ცხოვრებას, ბრძოლასა და პროგრესულ მისწრაფებებს — წყაროს, ყოველი ნამდვილი დიდი ხელოვნებისას“ თუმცა ეგებ გულში ისიც იზიარებს, რომ კოსმოპოლიტურს სიცოცხლე არ უწერია, რომ ნიადაგგამოცლილ ხელოვნებას აწმყო, წარსული და მომავალი არა აქვს.

უბრალოდ, ძველი ნაცნობივით გაგვიძღვა ვერა ფაღავას სახლისკენ, რომელშიაც მას შესასვლელიდან პირველი, ყველაზე მოზრდილი ოთახი, სახელოსნოდ აქვს დათმობილი.

გზადაგზა ვიგებთ, რომ ვანო ენუქიძე შემოქმედებითად უკვე სავსებით ჩამოყალიბებული აბსტრაქციონისტი მხატვარია, რომელიც აქტიურად არის ჩაბმული პარიზის და საერთოდ თანამედროვე ფრანგული ხელოვნების მხატვრულ ცხოვრებაში.

ვანო ენუქიძე დაბადებულა ახალსენაკში (ახლანდელი ცხაკაია), 1907 წელს. მაგრამ წლოვანებასთან შეფარდებით, განვლილი მძიმე ცხოვრების მიუხედავადაც, ახალგაზრდულად გამოიყურება. სახეზე ღიმი დაჰკრავს, თითქოს ცხოვრებას დასცინის და მის იოლად აღქმას ლამობს.

ვანო ენუქიძე მხატვრობას სპეციალურ სასწავლებელში არ დაუფლებია. მას პარიზში დაუმთავრებია იურიდიული ფაკულტეტი და მისი მეგობრების თქმით, ახალგაზრდა იურისტთა საერთაშორისო საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი ყოფილა.

მიუხედავად ამისა, აბსტრაქტული ხელოვნების ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლის, ჟორჟ მატიეს მსგავსად, ვანო ენუქიძესაც ზურგი შეუქცევია იურისპრუდენციისათვის. როგორც ამას მის „ატელიეში“ დაცული მრავალრიცხოვანი ნამუშევრები მოწმობს, საბოლოოდ აურჩევია მხატვრის გზა და 1958 წლიდან მხატვრული გამოფენების მუდმივი მონაწილეც გამხდარა.

ამა თუ იმ პროფესიის რადიკალური შეცვლება ნაკლებად ხდება სათანადო მოწოდების უქონლად. ვანო ენუქიძე კი შემოქმედებითად გატაცებული და მხატვრული გემოვნებით დაჯილდოებულიც ჩანს. მიუხედავად ამისა, თავისთავად მაინც იბადება კითხვა: ხომ არ უბიძგა მას ამ გზაზე უსაგნო „ხელოვნების“ იოლმა ფორმებმა, ადამიანის ცხოვრების მიღმა დარჩენილმა მოდერნისტული ხელოვნების პრინციპებმა. მით უფრო, რომ ვანო ენუქიძის მიერ ციცაროვით დაწინწკლულ, ხლართებად დასერილ თუ „ორნამენტებად“ დაქარგულ პალიტრის ნიაღვარს, დეკორაციულად აღიქვამს სილამაზის მოყვარული ადამიანის თვალი.

ალბათ ამიტომაც აღინიშნა წარმატებით მისი ნამუშევრების გამოჩენა ისეთ გალერიებში, როგორიც არის გალერია დრუან დაფიერი (ისევე როგორც ვერა ფაღავას ზემოაღნიშნული კატალოგის წინასიტყვაობა), ჟაკ ლასენის მიერ არის დაწერილი (როგორც მხატვარი განმარტავს, ლასენი კრიტიკოსთა ინტერნაციონალური საზოგადოების თავმჯდომარეა).

ჩანს, ჟაკ ლასენი აბსტრაქტული ხელოვნების მხარდამჭერი კრიტიკოსია, რომელიც ფრთებს ასხამს შემოქმედის არარეალურობას, ცხოვრებიდან მოწყვეტასა და მისტიციზმით გატაცებას. და ვინც მის მაღალფარდოვან აზრთა და სიტყვათა ლექსიკონში ჩაწვდომას ეცდება, აშკარად დაინახავს, რომ მსჯელობის ბუნდოვანება თავისთავადაც მხოლოდ ზიანის მომტანია და მხატვრის გზის მაჩვენებლად თუ გუზის მიმცემად არ გამოდგება.

ამიტომ უფლება გვაქვს, ვიფიქროთ, რომ „მოდას“ აყოლილ თანამედროვე კრიტიკოსთა უმრავლესობის მსგავსად, ლასენსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის და ბრალიც ედება დასავლეთ ევროპის ხელოვნებაში არსებული დაბნეულობის განმტკიცებაში.

მაგრამ, რით აიხსნება ვანოს გატაცება აბსტრაქტული ხელოვნებით?

შესაძლოა, მხატვრული სურათის შესაქმნელად სათანადო მხატვრულ ჩვევებს მოკლებული მხატვარი, ძირითადად ფერთა შეხამებას, მათი საშუალებით განწყობათა წარმოქმნას ემსახურება. მით უფრო, რომ დეკორაციული ალღოთი და ინტუიციით დაჯილდოებულს, ძალაც შესწევს ამ ხაზით კონტაქტი დაამყაროს მაყურებელთან, „წაკითხოს“ მას ნამუშევარში ჩაქსოვილი მუხარება თუ სიხარული.

მაგალითისათვის გამოდგება ვანოს მიერ 1956 წელს შესრულებული სურათი „14 ივლისი“, რომელზედაც, როგორც მხატვარი ამბობს, გადმოცემულია საფრანგეთის ზეიმი ბასტილიის აღების გამო, 1785 წელს.

საფრანგეთის დროშის ფერებად ასმიანებული ნამუშევრის ზედაპირი საზეიმოდ მხიარულია და შთამბეჭდავი, მაგრამ, არც რაიმე კონკრეტული მოქმედებაა მოცემული, არც სიუჟეტი და ამიტომაც იგი მხოლოდ დეკორაციულ ნიმუშად და არა სურათოვან ტილოდ აღიქმება.

ვანოს ნამუშევრები უშუალოდ მხატვრის „ბიოლოგიური“ ემოციების გადმოცემით გამოირჩევა, რომელთა ქამანდადაც მხატვარი ფერებს იყენებს. ამიტომ სურათები „სიხათოლის ციმციმი“ (1958 წ.) და „განთიადი“ (1960 წ.) ფერების მეტად ნაზ, ჰარმონიულ გამას ქმნის, „ელოსი“ — ალივით ალეწილი და ხალისიანია, „ზამთრის ტყე“ თოვლით გადაპენტილ მიდამოს გაგონებთ, ხოლო „ორფეოსი ზღვის პირას“ — ზღვის ფსკერზე მოლივლივე ნიჟარების ანარეკლს წააგავს. ეს კი მაფიქრებინებს, რომ ფანტაზიაც არ არსებობს სინამდვილის გარეშე და თვით აბსტრაქტულიც საწყისს სინამდვილიდან იღებს.

როგორც ყველა აბსტრაქციონისტ მხატვარს, ვანოსაც თავისი საკუთარი საკმაოდ მერყეული „თეორიები“ აქვს და არ მიკვირს, რომ ნამუშევარზე, რომელსაც იგი „ჰარმონიათა სფეროს“ უწოდებს, განმარტებას გვაწვდის: „აქ მე პითაგორის თეორიას ვემყარებოო“.

აბსტრაქტულ ხელოვნებაში საკმაოდ ჩვეულებრივი და მრავალზის აღნიშნული კურიოზის მოწმენიც ვხდებით.

ვანო ხალისით გვიჩვენებს ნამუშევრებს.

ერთი, ორი, სამი... და ნამუშევართა რიცხვი სათვალავში მერევა, სიმრავლით მჯაბნის.

• • •

სურათზე: ფელიქს ვარლამიშვილის ნახატის — „ესპანეთი“ ფოტორეპროდუქცია.

(გაგრძელება იქნება)



ამიტომაც ვუსმენ და მეღიმება. მეღიმება, რადგან ძნელად შესაცნობი არ არის ვერა ფაღავას თანამედროვე მხატვრული „ფრანგული სამოსელი“, რომლის იქით ქართულ მხატვრულ ტრადიციათა სუსტ გამოძახილსაც ვპოვებ, თუნდ „მხატვარ ვანო ენუქიძის პორტრეტის“ სახით, რომელიც XVIII-XIX საუკუნის ქართული პორტრეტული მხატვრობის შორეულ ანარეკლსაც წარმოადგენს.

სწორედ ამ გულშიჩამწვდომმა ფსიქოლოგიურმა პორტრეტმა ჩამახედა მისი ორიგინალის ბუნებაში, დამანახა მისი ნამდვილი სახე და გარეგნობას მოფარებული არტისტული ხასიათი...

ვანო ენუქიძე ჭუჭაში შემოგვხვდა მეგობრულად გამოწვდილი ხელითა და ცრემონიებს მოკლებული თავმდაბლობით.

ვიდრე ამ ხელოვანის ნამუშევრებს ვიხილავდეთ, ცოტა რამ მისი ბიოგრაფიიდან.

ვანო ენუქიძე დაბადებულა ახალსენაკში (ახლანდელი ცხაკაია), 1907 წელს. მაგრამ წლოვანებასთან შეფარდებით, განვლილი მძიმე ცხოვრების მიუხედავადაც, ახალგაზრდულად გამოიყურება. სახეზე ღიმი დაჰკრავს, თითქოს ცხოვრებას დასცინის და მის იოლად აღქმას ლამობს.

ვანო ენუქიძე მხატვრობას სპეციალურ სასწავლებელში არ დაუფლებია. მას პარიზში დაუმთავრებია იურიდიული ფაკულტეტი და მისი მეგობრების თქმით, ახალგაზრდა იურისტთა საერთაშორისო საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი ყოფილა.

მიუხედავად ამისა, აბსტრაქტული ხელოვნების ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლის, ჟორჟ მატიეს მსგავსად, ვანო ენუქიძესაც ზურგი შეუქცევია იურისპრუდენციისათვის. როგორც ამას მის „ატელიეში“ დაცული მრავალრიცხოვანი ნამუშევრები მოწმობს, საბოლოოდ აურჩევია მხატვრის გზა და 1958 წლიდან მხატვრული გამოფენების მუდმივი მონაწილეც გამხდარა.

ამა თუ იმ პროფესიის რადიკალური შეცვლება ნაკლებად ხდება სათანადო მოწოდების უქონლად. ვანო ენუქიძე კი შემოქმედებითად გატაცებული და მხატვრული გემოვნებით დაჯილდოებულიც ჩანს. მიუხედავად ამისა, თავისთავად მაინც იბადება კითხვა: ხომ არ უბიძგა მას ამ გზაზე უსაგნო „ხელოვნების“ იოლმა ფორმებმა, ადამიანის ცხოვრების მიღმა დარჩენილმა მოდერნისტული ხელოვნების პრინციპებმა. მით უფრო, რომ ვანო ენუქიძის მიერ ციცაროვით დაწინწკლულ, ხლართებად დასერილ თუ „ორნამენტებად“ დაქარგულ პალიტრის ნიაღვარს, დეკორაციულად აღიქვამს სილამაზის მოყვარული ადამიანის თვალი.

ალბათ ამიტომაც აღინიშნა წარმატებით მისი ნამუშევრების გამოჩენა ისეთ გალერიებში, როგორიც არის გალერია დრუან დაფიერი (ისევე როგორც ვერა ფაღავას ზემოაღნიშნული კატალოგის წინასიტყვაობა), ჟაკ ლასენის მიერ არის დაწერილი (როგორც მხატვარი განმარტავს, ლასენი კრიტიკოსთა ინტერნაციონალური საზოგადოების თავმჯდომარეა).

ჩანს, ჟაკ ლასენი აბსტრაქტული ხელოვნების მხარდამჭერი კრიტიკოსია, რომელიც ფრთებს ასხამს შემოქმედის არარეალურობას, ცხოვრებიდან მოწყვეტასა და მისტიციზმით გატაცებას. და ვინც მის მაღალფარდოვან აზრთა და სიტყვათა ლექსიკონში ჩაწვდომას ეცდება, აშკარად დაინახავს, რომ მსჯელობის ბუნდოვანება თავისთავადაც მხოლოდ ზიანის მომტანია და მხატვრის გზის მაჩვენებლად თუ გუზის მიმცემად არ გამოდგება.

ამიტომ უფლება გვაქვს, ვიფიქროთ, რომ „მოდას“ აყოლილ თანამედროვე კრიტიკოსთა უმრავლესობის მსგავსად, ლასენსაც გარკვეული წვლილი მიუძღვის და ბრალიც ედება დასავლეთ ევროპის ხელოვნებაში არსებული დაბნეულობის განმტკიცებაში.

მაგრამ, რით აიხსნება ვანოს გატაცება აბსტრაქტული ხელოვნებით?

შესაძლოა, მხატვრული სურათის შესაქმნელად სათანადო მხატვრულ ჩვევებს მოკლებული მხატვარი, ძირითადად ფერთა შეხამებას, მათი საშუალებით განწყობათა წარმოქმნას ემსახურება. მით უფრო, რომ დეკორაციული ალღოთი და ინტუიციით დაჯილდოებულს, ძალაც შესწევს ამ ხაზით კონტაქტი დაამყაროს მაყურებელთან, „წაკითხოს“ მას ნამუშევარში ჩაქსოვილი მუხარება თუ სიხარული.

მაგალითისათვის გამოდგება ვანოს მიერ 1956 წელს შესრულებული სურათი „14 ივლისი“, რომელზედაც, როგორც მხატვარი ამბობს, გადმოცემულია საფრანგეთის ზეიმი ბასტილიის აღების გამო, 1785 წელს.

საფრანგეთის დროშის ფერებად ასმიანებული ნამუშევრის ზედაპირი საზეიმოდ მხიარულია და შთამბეჭდავი, მაგრამ, არც რაიმე კონკრეტული მოქმედებაა მოცემული, არც სიუჟეტი და ამიტომაც იგი მხოლოდ დეკორაციულ ნიმუშად და არა სურათოვან ტილოდ აღიქმება.

ვანოს ნამუშევრები უშუალოდ მხატვრის „ბიოლოგიური“ ემოციების გადმოცემით გამოირჩევა, რომელთა ქამანდადაც მხატვარი ფერებს იყენებს. ამიტომ სურათები „სიხათოლის ციმციმი“ (1958 წ.) და „განთიადი“ (1960 წ.) ფერების მეტად ნაზ, ჰარმონიულ გამას ქმნის, „ელოსი“ — ალივით ალეწილი და ხალისიანია, „ზამთრის ტყე“ თოვლით გადაპენტილ მიდამოს გაგონებთ, ხოლო „ორფეოსი ზღვის პირას“ — ზღვის ფსკერზე მოლივლივე ნიჟარების ანარეკლს წააგავს. ეს კი მაფიქრებინებს, რომ ფანტაზიაც არ არსებობს სინამდვილის გარეშე და თვით აბსტრაქტულიც საწყისს სინამდვილიდან იღებს.

როგორც ყველა აბსტრაქციონისტ მხატვარს, ვანოსაც თავისი საკუთარი საკმაოდ მერყეული „თეორიები“ აქვს და არ მიკვირს, რომ ნამუშევარზე, რომელსაც იგი „ჰარმონიათა სფეროს“ უწოდებს, განმარტებას გვაწვდის: „აქ მე პითაგორის თეორიას ვემყარებოო“.

აბსტრაქტულ ხელოვნებაში საკმაოდ ჩვეულებრივი და მრავალზის აღნიშნული კურიოზის მოწმენიც ვხდებით.

ვანო ხალისით გვიჩვენებს ნამუშევრებს.

ერთი, ორი, სამი... და ნამუშევართა რიცხვი სათვალავში მერევა, სიმრავლით მჯაბნის.

• • •

სურათზე: ფელიქს ვარლამიშვილის ნახატის — „ესპანეთი“ ფოტორეპროდუქცია.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს ხმა

№ 8, მაისი, 1966 წ.

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 6, 7.



გამოსათხოვარი

გარდაიცვალა გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ჩიქოვანი.

სიმონ ჩიქოვანს ბევრი ვერ შეედრებოდა შემოქმედებითი სიწრფელით, მხატვრული აზროვნების სინატიფითა და სინაზით. იგი იყო მდიდარი მხატვრული სიტყვისა და აზრის პატრონი, მოაზრე შემოქმედი, რომელსაც ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე არ შემოლევია თემა და მისი შესაფერისი მხატვრული სახე. ამ ეპოქის გარიჟრაჟიდან დაწყებული მოჰყვებოდა სიმონ ჩიქოვანი ქართულ პოეზიას და ამ გზაზე მან ისეთი თხზულებები გამოჰკვეთა, რასაც უკარნახებდა დრო და გარემოება. თანდათან იწმინდებოდა მისი შემოქმედება და თანდათან დგებოდა იმ ფართო კალაპოტში, რომელსაც მისი აზროვნებით აღსავსე მხატვრული შემოქმედება დატოვებს.

სიმონ ჩიქოვანის პოეზია ერთი შეხედვით ლოკალიზებული ჩანდა ადგილითა და ვითარებით, მაგრამ საკმარისი იყო ჩაწვდომოდით და გაგერჩიათ მისი პოეზიის ფერები და სახეები, რომ მისი ლექსებიდან წარმოჩენილიყო ადამიანური და საზოგადო გრძნობა. რა ბრწყინვალედ ხატავდა იგი ჩვენს ქვეყანას, როგორ ნატიფად შეეძლო ძუნწად თქმული სიტყვით სახის შექმნა. სიმონ ჩიქოვანის პოეზია ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვნებას იტევდა და ქართულ მხატვრობაში დავით კაკაბაძისა და ელენე ახვლედიანის პეიზაჟებს თუ შეედრება,

ბევრი რამ წაიყოლა თან სიმონ ჩიქოვანმა. მის მიერ უკანასკნელ წლებში შექმნილი ნიკო ბარათაშვილის ციკლი რა გრძნობითა და აღტაცებით იყო დაწერილი! ნიკო ბარათაშვილის ციკლი ეხმიანებოდა დავით გურამიშვილის ციკლს. ორივე სიმონ ჩიქოვანმა ქართველი ხალხის ისტორიის ბრწყინვალე მხატვრულ სახეებად გამოძერწა. დავით გურამიშვილისა და ნიკო ბარათაშვილის ბედი ბევრში და ძირითადში ჰგავდა ერთმანეთს და სწორედ ამის გამო შექმნა ჩვენი დროის პოეტმა ისეთი ამეტყველებული თხზულებები, რომელთა პატრიოტულ-მინორული ხმა არასოდეს გაჭრება სიმონ ჩიქოვანის პოეზიის დარად.

ვისაც სიმონ ჩიქოვანის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები გადაუკითხავს, ვერ დავიწყებს მისი აზროვნების სისწორეს, სიღრმესა და თავისთავადობას. რა ადვილად შეეძლო დიდ საკითხთა შესახებ მსჯელობა და რა საოცარი სიზუსტით მუშაობდა შოთა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და სხვა პოეტთა აზროვნების კვლევაზე. ან როგორი სიზუსტით დაუხასიათებია ნიკო ლორთქიფანიძე, ალექსანდრე აბაშელი, ლევან ასათიანი, ლადო ასათიანი, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, გერონტი ქიქოძე, რა ოსტატურად ჩასწვდომია თვითეულის მოღვაწეობას!..

სიმონ ჩიქოვანი მოაზროვნე შემოქმედი იყო. ხშირად მსჯელობდა იგი პოეზიაში სიკვდილ-სიცოცხლისა და ადამიანის რაობის შესახებ. ადამიანობის, მოქალაქეობის ეტალონად საკუთარი თავი თუ ჰქონდა დასახული. ავადმყოფობით გატანჯულს არც ერთხელ წამოსცდენია გმინვა, ისე ვაჟკაცურად იდგა ქართულ პოეზიაში თვით სიკვდილამდე, თუმცა მოკვდავობის შესახებ ჯერ კიდევ 1940 წელს ჰქონდა დაწერილი:

ეგებ საფლავში ფესვივით გავთბე,
ნუ დამივიწყებთ თქვენზე მონდობილს.
მე წმიდანივით სიცოცხლე დავთმე,
მალე მოვკვდები, ძმებო, მშვიდობით!

არ მოკვდება სიმონ ჩიქოვანი, რადგან მან თავისი პოეზია მხოლოდ სიცოცხლის ფერებს, მზიან სამშობლოსა და ადამიანთა გრძნობებს მიუძღვნა. სიცოცხლესა და სამშობლოსთან ერთად სიმონ ჩიქოვანის კაცურ-ადამიანური და პირმართალი შემოქმედება ცოცხალ ხმად დარჩება.

გარდაიცვალა სიმონ ჩიქოვანი... ქართველმა ხალხმა მის ცხედარს სამარადისო სამყოფელად მთაწმინდის წმიდა მიწა მიუჩინა, ხოლო მის პოეზიას — საკუთარი დიდი გული.

სოლომონ ხუციშვილი.

* * *

გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ჩიქოვანი თავის სიცოცხლეში აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ყრილობების, კონფერენციების, შეკრებების და სხვ. მუშაობაში. ეს სურათი გადაღებულია 1958 წლის ოქტომბერში ტაშკენტის აღიშენ ნავოის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც გაიმართა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა კონფერენცია.

სურათზე: მარცხნიდან — ს. ჩიქოვანი, ი. აბაშიძე, დ. მუჩი, ვ. მუჩი (იტალია) და გ. სევუნცი (სომხეთი) შესვენების დროს.

სიმონ ჩიქოვანი

ვინა სთქვა...

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

აბა, შეადგით ერთმანეთს მთები,
მთები — შემკული სხივების სირმით,
ააშრიალეთ არწივის ფრთები,
კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის.

ყოველ მაღლობზე ციხე და კოშკი
ნახეთ, აზომეთ ოსტატის მზერით,
ან მოაგროვეთ უხსოვარ დროში
ჩვენში დაღვრილი ბუნების ფერი.

გაზომეთ ქარი თუ ქარიშხალი,
ჩამწყვდეული რომ ღმუოდა ხევით,
წყალი მჭუხარი და საშიშარი
და ავარდნილი გუბათი ზვავით.

წინაპრის მიერ განვლილი სივრცე,
ჟამი — ძლეული გაფრენილ ცხენით,
და გორგასალის ნაბიჯი მტკიცე,
მთად აღბეჭდილი ქართველის რწმენით.

შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს,
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,
უხსრულობის შემცველი მხარე.

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

დაგეძებენ, მოგელიან

ტიგრანს ელიან



თინა გიორგის ასულ ნოდიას, დაბადებულს 1918 წელს, ეძებს დედა — ოლია გორისის ასული თევზაია—ნოდია, მცხოვრები თბილისში, კ. კეკელიძის ქ. № 15.

იასონ ილიას-ძე ბაშარაძეს, დაბადებულს 1910 წელს, მცხეთის რაიონის სოფ. წილკანში, ეძებენ მეუღლე — სარა, შვილები—ილია და გურამ ბაშარაძეები, მცხოვრებნი ქ. მცხეთაში.

ოცი წლის ჰაბუკი იყო **ტიგრან არამის-ძე მარჭარიანი,** როცა თბილისში სასწავლებელი დაამთავრა და ფოთში გაგზავნეს სამუშაოდ.

ფოთში დიდხანს არ უმსახურია. იმავე წელს, ე. ი. 1941 წლის ივლისში სამამულო ომში გაიწვიეს და უკრაინის ფრონტზე გაგზავნეს. ტიგრანის უკანასკნელი წერილი მშობლებმა ორმოცდაერთის სექტემბერში მიიღეს. შემდეგ კი... აღარც წერილი, აღარც სხვა რაიმე ცნობა.

ტიგრანს ეძებენ და ელიან მისი დედა — ვარვარა, ძმა—გრიგოლი, და—ნადეჟდა მარჭარიანები, რომლებიც თბილისში, რობესპიერის ქ. № 28-ში ცხოვრობენ.

ჩემო ერთადერთო

წერილი სერგო ალექსანდრეს-ძე ქოგულიას

ჩემო ერთადერთო ვაჟიშვილო, ჩემო სერგო! გეძებს და გელის შენი საყვარელი დედა. თვალცრემლიანი შენს გზას გასცქერიან შენი ტყუპის ცალი მოსიყვარულე და — ტატიანა, შენი პატარა და — ნანული, რომელსაც ბუნდოვნად ახსოვს შენი სახე.

შენს სურათს ვფიცავენ შენი საყვარელი უცნობი დისშვილები ნუკრი და ზაზა, რომლებიც სიხარულით მოელიან უცნობ, დიდი ხნის დაკარგულ ბიძას.

სადა ხარ შვილო, სად დამეკარგე? მოგაწვდინე ხმა. გელიან შენი ნათესავები, ამხანაგები, მეგობრები, მეზობლები. ჩამოდი შენს საყვარელ თბილისში, სადაც მოგელის სიხარული და ბედნიერი ცხოვრება. ერთი ხმა მაინც გამაგონე, ჩემო სიბერის მანუგეშებელო ლამპარო!

შენი დედა ოლია გერასიმის ასული ქოგულია.



სურათებზე: ს. ქოგულია (მარცხნივ) და ტ. მარჭარიანი.

ქართველ ფალავანთა ოქროს მედლები



საკუთარ მოედანზე ოთხი თამაშის ჩატარების შემდეგ თბილისის დინამოელებს შეხვედრები ჰქონდათ ოდესასა და ერევანში. ორი თამაშიდან მათ აქტივში მხოლოდ ერთი ქულა ჩაიწერა. „დინამოელებმა“ ფრედ (0:0) ითამაშეს ოდესელ არმიელებთან და წააგეს შეხვედრა ერევნის „არარატთან“. თუმცა მატჩი ერევანში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ თამაშის ბედი ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა.


ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი შედარებით წარმატებით გამოდის. „ტორპედომ“ ორი შეხვედრა მოიგო თავის მოედანზე, პირველი დონეცკის „შახტიორთან“ (3:1), მეორე — ალმა-ატის „კაირატთან“ (2:0), მაგრამ მე-7 ტურის შეხვედრა კი (ერევანში) „არარატელთა“ გამარჯვებით დამთავრდა (ანგარიში 1:0). ასე რომ, ქუთაისის „ტორპედოს“ 7 თამაშიდან მოგროვილი აქვს 7 ქულა და ჯერჯერობით მე-10 ადგილზეა.

მიმდინარე წელს საქართველოს ჩემპიონობა ჰადრაკში მოიპოვა ახალგაზრდა ოსტატმა **რ. ჯინჯიხაშვილმა.**

ქალაქ კარლ სრუეში (გფრ) ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა გუნდში იყვნენ ქართველი ფალავნები **ზ. ბერიაშვილი** და **შ. ლომიძე,** რომლებიც ოქროს მედლების მფლობელნი გახდნენ.

ქ. ლუქსემბურგში მიმდინარეობდა ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში. პირველი ადგილი მეოთხედ მოიპოვა სსრ კავშირის გუნდმა, ხოლო ქართველი ფალავანი **ანზორ კიკნაძე,** რომელმაც ფინალში დამარცხა ალფრედ მაიერი (გფრ), ევროპის ჩემპიონი გახდა აბსოლუტურ პირველობაში.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან მეკარე **ა. კავაზაშვილი** და თავდამსხმელი **ს. მეტრეველი,** საერთაშორისო შეხვედრებს ჩაატარებს პრაღასა და ბრიუსელში.



გამარჯვების დღის აღსანიშნავი სალუტი თბილისში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხეთების საზოგადოება

ეს საინტერესოა

ხეთების სამეფოს საზოგადოებრივ სტრუქტურას იკვლევს თავის მონოგრაფიაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ე. მენაბდე.**

ხეთები ინდო-ევროპელები არიან, რომლებიც მცირე აზიაში (მდინარე ჰალისის — თანამედროვე ყიზილ-ირმაკის ხეობაში) მოვიდნენ III ათასწლეულის დამლევს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. II ათასწლეულის დამდეგს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მათ აქ შექმნეს ძლიერი სახელმწიფო, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაპყრობითს ომებს აწარმოებდა. სწორედ ხეთებმა შემუსრეს ბაბილონი XVII საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. საგულისხმოა, რომ ორი სახელმწიფოს პირველი საზავო ხელშეკრულება, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ხეთებსა და ეგვიპტელებს შორის დაიდო.

მონოგრაფიაში „ხეთების საზოგადოება“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოუშვა, მეცნიერი ლურსმული წარწერების მონაცემთა საფუძველზე განიხილავს ხეთების სამეფოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების პრობლემებს, აანალიზებს მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას, სახელმწიფოს ეკონომიურ განვითარებას, საკუთრების ფორმებსა და მემკვიდრეობით - სამართლებრივ ურთიერთობას.

მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია შრომაში მოყვანილმა მონაცემებმა ხეთების საზოგადოების მატერიალური საფუძვლის —მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის შესახებ. საყურადღებოა, რომ ხეთების საზოგადოება ირიგაციით არ სარგებლობდა. მაგრამ თემები ვალდებული იყვნენ ეზრუნათ წყალსატევებისა და სავარგულებისათვის.

ავტორის აზრით, ხეთური ოჯახსა და მემკვიდრეობის წესს მკაფიოდ გამოხატული პატრიარქალური ხასიათი ჰქონდა. ამავე დროს ხეთების სამეფოში გარკვეული უფლებებით სარგებლობდა ქალი-დედა, რომელსაც ვაჟიშვილის განდევნის უფლებაც კი ჰქონდა, თუ იგი უარს იტყოდა დედის მორჩილებაზე.

მონოგრაფია „ხეთების საზოგადოება“ ე. მენაბდის გამოკვლევის პირველი ნაწილია. შემდეგი წიგნი მიეძღვნება სოციალური და სახელმწიფო სტრუქტურის საკითხებს.

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡᲐᲐᲓᲠᲔᲡᲘ:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.